

1	აბიტურიენტი Абитуриент Entrant	სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
2	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი <i>შდრ. კანცლერი</i> Руководитель Администрации Head of Administration	ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
3	ავტონომია/იგივე ინსტიტუციური ავტონომია Автономия Autonomy	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი ერთეულის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა
4	აკადემია Академия Academy	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ძირითადად ხელოვნების და ან სამხედრო სფეროში);</li> <li>2. ყოფილ საბჭოთა კავშირსა და დსთ-ს ზოგ ქვეყანაში - მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენდა უმაღლეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას;</li> <li>3. ინგლისურენოვან ქვეყნებში: კერძო საშუალო ან საშუალოს შემდგომი სკოლა;</li> <li>4. მეცნიერთა საპატიო გაერთიანება, რომლის წევრთა რაოდენობა, როგორც წესი, შეზღუდულია. მაგ. საფრანგეთის აკადემია</li> </ol>
5	აკადემიური თავისუფლება Академическая свобода Academic freedom	აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა
6	აკადემიური მობილობა <i>იხ. მობილობა</i> Академическая мобильность Academic Mobility	
7	აკადემიური საბჭო <i>შდრ. სამეცნიერო საბჭო</i> Академический совет Academic Council	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო
8	აკადემიური საათი Академический час Academic hour	გაკვეთილის ან ლექციის ხანგრძლივობა
9	აკადემიური მოსწრება Академическая успеваемость Academic progress <i>იხ. მოსწრება</i>	
10	აკადემიური უმაღლესი განათლება Академическое высшее образование Academic higher education	უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს
11	აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო Рамка квалификации академического высшего	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია

	образования Qualifications framework for academic higher education	
12	აკადემიური შვებულება Академический отпуск Sabbatical leave	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სტუდენტისათვის მიცემული შვებულება სასწავლო წლის განმავლობაში; შვებულების ხანგრძლივობა რეგულირდება კონკრეტული უსდ-ს დებულებით/შინაგანაწესით.</li> <li>2. უსდ თანაშრომელთა ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.</li> </ol>
13	აკადემიური წელი Академический\Учебный год Academic year	დროის მონაკვეთი ერთი ასტრონომიული წლის განმავლობაში, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარეობს სწავლება შესაბამისი პროგრამის ათვისების მიზნით. აკადემიური წელი იყოფა სემესტრებად, ტრიმესტრებად და მეოთხედებად სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებიდან გამომდინარე
14	აკადემიური ხარისხი შდრ. სამეცნიერო ხარისხი Академическая степень Academic degree	ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას
15	აკადემიური წოდება შდრ. სამეცნიერო წოდება Академическое звание Academic title	წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის
16	აკრედიტაცია Аккредитация Accreditation	<ol style="list-style-type: none"> <li>1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით;</li> <li>2. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ სტანდარტთან, სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება;</li> <li>3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება.</li> </ol>

17	აკრედიტირებული Аккредитированный Accredited	შეფასების შედეგად აღიარებული, დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი
18	ალტერნატიული სახელმძღვანელო Альтернативный учебник Alternative textbook	ერთი და იმავე საგანმანათლებლო მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული ორი ან მეტი ერთმანეთისგან განსხვავებული სახელმძღვანელო
19	ანდროგოგია Андрогогика Andragogy	მომღვრება ზრდასრულთა სწავლა-განათლების ფორმებისა და მეთოდების შესახებ
20	აპოსტილი Апостиль Apostille	სპეციალური შტამში საზღვარგარეთ ეროვნული დიპლომის აღიარებისათვის
21	არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულება იხ. კერძო სასწავლო დაწესებულება Негосударственное учебное заведение Private educational institution	
22	არაფორმალური განათლება შდრ. ფორმალური განათლება Неформальное образование Non-formal education	1. პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად; 2. განათლების პროცესი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს და არ ისახავს მიზნად ოფიციალური სერიტიფიკატის მიღებას.
23	არდადეგები Каникулы Holiday vocations	დროის ინტერვალი აკადემიური წლის განმავლობაში ან აკადემიურ წლებს შორის, როდესაც სწავლება არ მიმდინარეობს
24	არჩევითი საგნები Факультативные/выборные предметы Elective disciplines/ Optional courses	კურიკულუმით განსაზღვრული არასავალდებულო სასწავლო დისციპლინები, რომელთაც თითოეული მოსწავლე შეარჩევს ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად
25	არჩევითობის პრინციპი Принцип выборности Principle of election	მოსწავლეთა/სტუდენტთა მიერ სასწავლო საგანთა საერთო ჩამონათვალიდან საგნების ნებაყოფლობითი არჩევა
26	ასისტენტ-პროფესორი Ассистент профессор Assistant professor	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს
27	ასოციაცია იხ. პროფესიული ასოციაცია Ассоциация Association	ადამიანთა საზოგადოებრივი გაერთიანება პროფესიის, ან საერთო ინტერესების, მიზნებისა თუ ამოცანების შესაბამისად
28	ასოცირებული პროფესორი Ассоциированный профессор Associate Professor	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას
29	ასპირანტი	საქართველოში 2007 წლამდე და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა

	შდრ. დოქტორანტი Аспирант Post graduate student	ქვეყანაში ახლაც: პირი, რომელმაც მიიღო უმაღლესი განათლება და აგრძელებს სწავლას ასპირანტურაში, ამზადებს დისერტაციას დასაცავად, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
30	ასპირანტურა შდრ. დოქტორანტურა Аспирантура Post graduate study	საქართველოში 2007 წლამდე და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ახლაც: სამეცნიერო კადრების მომზადების ძირითადი ფორმა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში
31	ატესტატი Аттестат Diploma	1. ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ახალგაზრდის მიერ საშულო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით ათვისებას ადასტურებს; 2. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში და საქართველოში 2006 წლამდე: დოცენტის ან პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდების დამადასტურებელი დოკუმენტი.
32	ატესტაცია Аттестация Evaluation	1. იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება მუშაკის ცოდნის, კვალიფიკაციის დონე მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, ადგილს, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს. 2. უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არაფორმალური გზით შემენილი სახელობო განათლების მქონე პირის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურება
33	აუდიტორია Аудитория Auditorium/Audience	1. საგანგებო დარბაზი ლექციების, მოხსენებების წასაკითხად; 2. ლექციების, მოხსენებების, ტელე- და რადიოგადაცემების მსმენელთა კრებითი სახელი.
34	აქტიური სწავლება შდრ. ინტერაქტიური სწავლება Активное обучение Active learning	სწავლების პროცესი, რომლის დროსაც მაღალია მოსწავლეთა მონაწილეობა, მოტივაცია, ვითარდება შემეცნებითი ინტერესი, მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოქმედებითი გამოყენების უნარი
35	აღზრდა Воспитание Education	ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის მომზადების მიზანმიმართული პროცესი
36	აღიარება იხ. ცნობა Признание Recognition	
37	ბაკალავრიატი შდრ. დიპლომამდელი განათლება Бакалавриат Bachelor's program	აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის
38	ბაკალავრი Бакалавр Bachelor	მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება
39	ბაკალავრის აკადემიური ხარისხი Академическая степень	აკადემიური ხარისხი, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველის საფეხურის – ბაკალავრიატის - კურსდამთავრებულს ენიჭება

	бакалавра Bachelor's degree	
40	ბიზნეს-სკოლა Бизнес-школа Bussines school	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ან მისი სტრუქტურული ერთეული, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის დარგში
41	ბილინგვური (ორენოვანი) განათლება Двухязычное образование Bilingual education	განათლება, რომელიც ხორციელდება ორ ენაზე მაგ. ინგლისურენოვან ქვეყნებში, სტუდენტების იმ უმცირესობისათვის, რომლებიც სრულფასოვნად არ ფლობენ ძირითად სასწავლო (სახელმწიფო) ენას - სწავლება დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობს მათ მშობლიურ ენაზე
42	ბოლონიის პროცესი <i>იხ. უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე</i> Болонский процесс Bologna Process	პროცესი, რომლის მიზანსაც 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ბოლონიის პროცესი გასცდა ევროკავშირის საზღვრებს და მასში ამჟამად 45 ევროპული ქვეყანაა გაერთიანებული. საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს შეუერთდა
43	გაკვეთილი Урок Lesson	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწავლისათვის გამოყოფილი დროის სტრუქტურირებული პერიოდი - სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა სკოლაში;</li> <li>2. ფართო გაგებით – მოსწავლის მიერ მისთვის აქამდე უნცობ სფეროში მიღებული ცოდნა/გამოცდილება</li> <li>3. სანიმუშო შემთხვევა</li> </ol>
44	გამოკითხვა Опрос Questioning	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება ზეპირი და წერილობითი ფორმით დასმული კითხვებისა თუ პრობლემების მეშვეობით;</li> <li>2. ზეპირი ან წერილობითი კითხვარის საშუალებით რესპონდენტის დამოკიდებულების გამოვლენა ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენისადმი.</li> </ol>
45	გამოცდა (იგივე ტესტირება) <i>შდრ. შეფასება</i> Экзамен Examination (Exam)	მოსწავლის/სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით მიღებული ცოდნის შემოწმების ორგანიზაციული ფორმა, რომლის საფუძველზე მათ ეძლევათ სწავლის გაგრძელების უფლება ან სათანადო სერტიფიკატი. გამოცდა, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ოფიციალურ წერით და/ან ზეპირ ტესტირებას (შესაძლოა გააჩნდეს პრაქტიკული კომპონენტი) კურსის ან მოდულის დასრულებისას ან მოგვიანებით, აკადემიური წლის ბოლოს და გამოიყენება მოსწავლის/სტუდენტის შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით. გამოცდების სტრუქტურა, შინაარსი და სირთულე დამოკიდებულია საგანზე, გამოსაცდელ პირთა ასაკსა და პროფესიაზე
46	განათლება <i>იხ. ფორმალური განათლება არაფორმალური განათლება ზოგადი განათლება პროფესიული განათლება უმაღლესი განათლება</i> Образование Education	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისტემატიზებული ცოდნის, უნარ-ჩვევების გადაცემისა და მიღების პროცესი და შედეგი;</li> <li>2. ეკონომიკის დარგი, რომელიც აერთიანებს იმ საწარმოებსა და დაწესებულებებს, რომლებიც აღზრდას, სწავლებას, სასწავლო ლიტერატურის გამოცემასა და მასწავლებელთა კადრების მომზადებას ეწევიან.</li> </ol>
47	განათლების ხელმისაწვდომობა Доступность образования Access to education	სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სათანადო საკანონმდებლო და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების სარეალიზაციოდ
48	განთესვა	მოსწავლის/სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის

	Отсев Dropout	მიტოვება მის დასრულებამდე როგორც წესი არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების გამო
49	განმანათლებელი Просветитель Enlightener	განათლებისა და მოწინავე იდეის გამავრცელებელი
50	გარე შეფასება Внешняя оценка External evaluation	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გარეშე ექსპერტის მიერ
51	გამლიერებული (გაღრმავებული) სწავლება Усиленное обучение Intensive learning	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სტანდარტის ზევით სწავლება ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინაში (ან დისციპლინათა ციკლში)
52	გონებრივი იერიში Мозговая атака Brain storming	ჯგუფური კომუნიკაციის ფორმით ამა თუ იმ საკითხის (პრობლემის) შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისის კრიტიკული შეზღუდვების გარეშე გამოთქმისა და მომდევნო ფაზაში გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზების, კლასიფიცირების, განზოგადების, სისტემატიზაციის და ძირითადი ტენდენციების გამოვლენის საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტების დადგენის პროცესი
53	დამატებითი განათლება Дополнительное образование Additional education	განათლება, რომელიც პირმა შეიძლება მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ ნორმებს ზევით.
54	დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა Дополнительная индивидуальная работа Additional individual work	ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად
55	დამატებითი/დამხმარე ლიტერატურა Вспомогательная литература Auxiliary/additional literature	ოფიციალურად რეკომენდებული ლიტერატურა, რომელიც ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებას
56	დაფინანსება ერთ მოსწავლეზე/სტუდენტზე Подушевое финансирование Per capita funding	ფინანსური ნორმატივით გათვალისწინებული სახსრების ოდენობა, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის ერთი მოსწავლის/სტუდენტის მიერ აკადემიური წლის განმავლობაში
57	დასაქმება Занятость Employment	მოსახლეობის მონაწილეობა შრომით საქმიანობაში
58	დასაქმების კოეფიციენტი Коэффициент занятости Employment rate	შრომით პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი; განისაზღვრება შრომისუნარიანი მოსახლეობისა (15-65 ასაკის) და სამუშაო ადგილების თანაფარდობით
59	დასწავლა მდრ. სწავლა Научение Teaching	ტექსტის ან მოქმედების მყარად ათვისება მრავალჯერადი განმეორების შედეგად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში მის ზუსტად აღდგენას. დასწავლა რიგ შემთხვევებში შინაარსის ღრმად გაცნობიერებისა და გაანალიზების გარეშე ხორციელდება
60	დასწრებული სწავლება Очное обучение Full-time education	სწავლების ფორმა, რომელიც გულისხმობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას სასწავლო მეცადინეობებზე რეგულარული დასწრების პირობებში
61	დაუსწრებელი განათლება მდრ. ექსტერნატი	სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების

	Заочное обучение Part-time education / distance learning	ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას სასწავლო მეცადინეობებზე რეგულარული დასწრების გარეშე
62	დაჩქარებული კურსი Ускоренный курс Crash courses	სასწავლო დისციპლინათა სწავლება ინტენსიური სწავლების მეთოდებისა და შესაბამისი ხერხების გამოყენებით სტანდარტით გათვალისწინებულთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულ ვადაში
63	დეკანატი Деканат Office of dean	უსდ-ში: ფაკულტეტის ხელმძღვანელობა დეკანის მეთაურობით
64	დეკანი Декан Dean	ფაკულტეტის არჩევითი ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს ფაკულტეტის საქმიანობას
65	დიდაქტიკა Дидактика Didactic	პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც მეცნიერულად ამუშავებს განათლებისა და სწავლების (სწავლების მიზანი, შინაარსი, კანონზომიერებები, პრინციპები, ფორმები და მეთოდები) თეორიას
66	დივერსიფიკაცია Диверсификация Diversification	სავალდებულო და არჩევითი საგნების ერთობლიობა, რომელშიც აქცენტი ასარჩევ საგნებზეა გადატანილი
67	დიპლომი Диплом Diploma	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან/და მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
68	დიპლომირებული მედიკოსი Дипломированный медик Sertificated doctor	მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება. პროგრამა ითვალისწინებს მედიცინის (მათ შორის, სპეციალურ მედიცინის) სპეციალისტის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის
69	დიპლომირებული სპეციალისტი Дипломированный специалист Certificated specialist	პირი, რომელსაც პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კრედიტების დადგენილი რაოდენობის დაგროვების შედეგად შესაბამისი დოკუმენტით მიენიჭა კვალიფიკაცია და რომელსაც შეუძლია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება
70	დიპლომის დანართი Приложение к диплому Diploma supplement	დოკუმენტი, რომელსაც გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დიპლომთან ერთად სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული სტატუსის დასადასტურებლად.
71	დიპლომამდელი განათლება შდრ. ბაკალავრიატი Додипломное образование Undergraduate education/studies	დიპლომამდე სწავლებაში იგულისხმება სწავლის პერიოდი პირველი აკადემიური ხარისხის მიღებამდე
72	დიპლომის შემდგომი განათლება შდრ. მაგისტრატურა, დოქტორანტურა Последипломное образование Postgraduate education	სწავლების პერიოდი პირველი აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ, რომელიც, ჩვეულებრივ, მთავრდება მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხის მინიჭებით
73	დისერტანტი	პირი, რომელიც დისერტაციას იცავს

	Диссертант Autor of Dissertation	
74	დისერტაცია Диссертация Thesis/ Dissertation	სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
75	დისერტაციის ავტორეფერატი Автореферат диссертации Resume	სადისერტაციო ნაშრომის რეფერატი (ხელნაწერის უფლებით), რომელიც შეიცავს ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევის ძირითად შედეგებს
76	დისკუსია (სწავლებაში) Дискуссия Discussion	მოსწავლეთა წინაშე პრობლემური საკითხების დასმა და მათი კოლექტიური განხილვა ახალი ცოდნის შექმნა-განმტკიცების მიზნით
77	დისპუტი Диспут Debate	ადმზრდებლობითი ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინაშე საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი რაიმე პრობლემის დასმასა და მის საჯარო განხილვას
78	დისციპლინა Дисциплина Discipline	1. ადამიანთა ყოფაქცევის განსაზღვრული წესები, რომელიც ემყარება საზოგადოებაში დამკვიდრებულ სამართლისა და მორალის ნორმებს, ან ამა თუ იმ ორგანიზაციის მოთხოვნებს; 2. იხ. სასწავლო დისციპლინა.
79	დისციპლინური გადაცდომა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა
80	დისციპლინური დევნა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა
81	დისციპლინური სახდელი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა
82	დისტანციური განათლება Дистанционное образование Distance education/Learning	სწავლების ორგანიზების ხერხი თანამედროვე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შესაძლებელს ხდის სწავლებას შორ მანძილზე, პედაგოგსა და მოსწავლეს შორის უშუალო კონტაქტის დაუმყარებლად
83	დოქტორანტი შდრ. ასპირანტი Докторант Doctoral student	პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში
84	დოქტორანტურა შდრ. ასპირანტურა Докторантура Doctorate	უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით
85	დოქტორი Доктор Doctor	მფლობელი იმ უმაღლესი აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება
86	დოქტორის აკადემიური ხარისხი Докторская степень Doctoral degree	ხარისხი, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის – დოქტორანტურის - კურსდამთავრებულს ენიჭება
87	დოქტორის სამეცნიერო ხარისხი იხ. სამეცნიერო ხარისხი	

	Степень доктора наук Doctoral degree	
88	დოცენტი Доцент Associate professor	<ol style="list-style-type: none"> <li>საქართველოში 2006 წლამდე და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ახლაც უსდ-ის თანამშრომლის აკადემიური/სამეცნიერო წოდება, რომელიც ენიჭებოდა უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის სტაჟისა და სამეცნიერო შრომების მქონე მეცნიერებათა კანდიდატს ან დოქტორს;</li> <li>ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. გერმანიაში) უსდ-ის თანამდებობა, რომელსაც შესაბამის კათედრაზე კონკურსის წესით იკავებს სათანადო კვალიფიკაციის პირი.</li> </ol>
89	ედუკოლოგია Эдьюкология Educology	თანამედროვე მომღვრება განათლების შესახებ
90	ევროპასი Европасс Europass	ევროკომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც იოლდება კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გაგება და აღიარება ევროპის მასშტაბით. ხელს უწყობს მობილობას და შედგება ხუთი დოკუმენტისაგან: <ul style="list-style-type: none"> <li>- ევროპასის CV</li> <li>- ენის ცოდნის პასპორტი</li> <li>- სერტიფიკატის დანართი</li> <li>- დიპლომის დანართი</li> <li>- ევროპასის მობილობის დოკუმენტი</li> </ul>
91	ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო <i>იხ. საკვალიფიკაციო ჩარჩო, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო</i> Общая структура квалификации/общая структура степеней European Qualifications Framework (EQF)	წარმოადგენს მეტა-ჩარჩოს, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოებით განსაზღვრული კვალიფიკაციების/კომპეტენციების გაგებას უზრუნველყოფს, რისთვისაც საერთო სწავლის შედეგების სისტემას იყენებს
92	ელექტური საგნები <i>იხ. არჩევითი საგნები</i> Факультативные предметы Elective disciplines	
93	ელექტურობის პრინციპი <i>იხ. არჩევითობის პრინციპი</i> Принцип выборности Principle of election	
94	ერთიანი ეროვნული გამოცდა Единое государственное тестирование Common state testing	პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად
95	ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე Общее образовательное пространство Common educational space	ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება განსაზღვრული საგანმანათლებლო კანონმდებლობა, საგანმანათლებლო სტანდარტები და განათლების ხარისხის შეფასების სისტემა
96	ერთობლივი აკადემიური	ხარისხი, რომელიც ენიჭება მობილურ სტუდენტს ორი (ან

	ხარისხი Совместная степень Joint degree	მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ
97	ეროვნული პროფესიული სააგენტო Национальное профессиональное агентство National Professional Agency	საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული განათლების რეგულირების მიზნით შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტებს და ასრულებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს
98	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო Национальная рамка квалификаций National qualifications framework	დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებს, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს
99	ეროვნული სასწავლო გეგმა Национальный куррикулум National curriculum	დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას
100	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება	საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში საათების მაქსიმალური რაოდენობის ფარგლებში გაწეული მომსახურება
101	ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურება	საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, საადმინისტრაციული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებში გაწეული საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურება
102	ეროვნული შეფასებების სისტემა Национальная система оценки знаний National assessment system	სისტემა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები ეროვნული სასწავლო გეგმებით დადგენილ მიღწევათა დონებს და რამდენად რეალურია ამ დონეების დამლევა
103	ექსპერტი Эксперт Expert	სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც იწვევენ მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სხვა აქტუალური საკითხების განსჯისა და გადაწყვეტის მიზნით
104	ექსპერტიზა Экспертиза Examination/Expert opinion	გამოკვლევის ჩატარება იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს ექსპერტთა სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში
105	ექსტერნატი შდრ. დაუსწრებელი განათლება Экстернат External studies	იმ პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები
106	ვაუჩერი (საგანმანათლებლო) შდრ. სასწავლო გრანტი Образовательный ваучер	1. სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული

	Training voucher	ფორმით და რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად 2. სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტის მიერ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად
107	ვირტუალური განათლების ინსტიტუტი Институт виртуального образования Virtual education institution	ინსტიტუტი, რომლის ფუნქციაა შექმნას დისტანციური სწავლების კურსებისა და პროგრამების კონკურენტული ბაზარი და უზრუნველყოს სწავლების ასეთ ფორმის ტექნიკური მომსახურება
108	ვირტუალური კლასი Виртуальный класс Virtual class	კლასი, რომელშიც ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კომპიუტერის დახმარებით ხორციელდება
109	ზეპირი გამოცდა Устный экзамен Oral test	ცოდნის შემოწმების ფორმა, რომლის დროსაც მოსწავლის შეფასება ხდება უშუალო გამოკითხვის გზით
110	ზოგადი განათლება Общее образование General education	1. განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს 2. ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების შესახებ აუცილებელი ცოდნისა და სასიცოცხლოდ აქტუალურ უნარ-ჩვევათა ერთობლიობა, რაც პიროვნების სრულფასოვან სოციალურ არსებობას განაპირობებს.
111	ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი	დოკუმენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლო გეგმის და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს იღებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად
112	ზოგადი განათლების საფეხურები	საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი)
113	ზოგადი განათლების სისტემა	ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას
114	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც

115	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა, რომლის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე სააპელაციო კომიტეტი – ასეთის არსებობის შემთხვევაში;
116	ზრდასრული Взрослый Adult	ბავშვობის ასაკიდან გამოსული, ზრდადამთავრებული, სრულსაკოვანი ადამიანი. საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობაში: პიროვნება, რომელიც არის 15 ან მეტი წლის
117	ზრდასრულთა განათლება Образование взрослых Adult education	საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური გამოცდილების მქონე პირთა მიერ ამა თუ იმ პრაქტიკული ამოცანის გადაჭრის უნარის გამომუშავებას; ხელს უწყობს კვალიფიცირებული მუშაკების მომზადებას მუდმივად ცვლადი შრომის ბაზრისათვის; დაგროვილი სოციალური გამოცდილების კორექციას, ადაპტაციასა და გადაცემას მოზრდილთა ახალი თაობისათვის
118	თვალსაჩინოება Наглядное пособие Visual aid	დამხმარე სასწავლო საშუალება, რომელიც ძირითადად ვიზუალურად, საგნობრივად ასახავს შესასწავლი ობიექტის გამოსახულებას და შინაარსს
119	თვითგანათლება Самообразование Self managed learning	განათლების მიღება პიროვნების დამოუკიდებელი ძალისხმევით სასწავლო დაწესებულების გარეშე
120	თვითნასწავლი Самоучка Self-taught person	ვინც დამოუკიდებლად, ვისიმე დახმარების გარეშე შეისწავლა რამე
121	თვითშეფასება შდრ. გარე შეფასება Самооценка Self-assessment/self-evaluation	1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მისი შემდგენელის მიერ; 2. სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები
122	ინდივიდუალობა Индивидуальность Individuality	საგანმანათლებლო პროცესის ამა თუ იმ სუბიექტისათვის (მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი ...) დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რაც მას ამავე პროცესის სხვა მონაწილეებისაგან გამოარჩევს
123	ინდივიდუალური განვითარება Индивидуальное развитие Individual development	ადამიანის (ინდივიდის) ფიზიოლოგიური, გონებრივი, ფსიქიკური და სოციალური განვითარების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების რიგი, რასაც იგი სიცოცხლის განმავლობაში განიცდის
124	ინდივიდუალური კონსულტაცია Индивидуальная консультация Individual consultation/Tutorial	ინდივიდუალური კონსულტაცია არის სწავლების ფორმა, როდესაც მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხდება კურსის ან მოდულის დრმა შესწავლა, მასალისა და საგნის კრიტიკული განხილვა და დისკუსია
125	ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა	სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სასწავლო გეგმა, შინაარსი, მოცულობა და ათვისების წესი

	Индивидуальная образовательная программа Individual Study/educational Program	
126	ინკლუზიური სწავლება Инклюзивное обучение Inclusive education	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად
127	ინსტიტუტი Институт Institute	1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ; 2. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.
128	ინსტიტუციური ავტონომია იხ. ავტონომია	
129	ინსტრუქტაჟი (პედაგოგიკური) Инструктаж Instructing	ამა თუ იმ პედაგოგიური ამოცანის გადასაწყვეტად გამიზნულ სახელმძღვანელო მითითებათა ერთობლიობა
130	ინსტრუქტორი (სახელობო განათლების ინსტრუქტორი) Инструктор Instructor	პირი, რომელსაც აქვს შესაბამის პროფესიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და რომელიც ახორციელებს სწავლებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით
131	ინსტრუქცია Инструкция Instructions, Directions	სახელმძღვანელო მითითებანი; რისამე შესასრულებლად საჭირო წესების კრებული
132	ინტეგრირებული კურსი Интегрированный курс Integrate courses	მომიჯნავე სასწავლო დისციპლინების (მაგ. ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების და სხვ.) გაერთიანებული კურსი
133	ინტელექტი Интеллект Intellect	ადანიანის გონებრივი განვითარება, აზროვნებისა და მოვლენებში წვდომის უნარი
134	ინტელექტის კოეფიციენტი Коэффициент интеллекта IQ-intelligence quotient	გონებრივი განვითარების დონე, რომელიც სპეციალური ტესტით იზომება
135	ინტერაქტიური სწავლება შდრ. აქტიური სწავლება Интерактивное обучение Interactive teaching	სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლეები/სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სწავლების პროცესში, პიროვნებათშორის და კომპიუტერთან ურთიერთობებში
136	ინტენსიური სწავლება Интенсивное обучение Intensive education	შესასწავლად გამიზნული მასალის დიდი მოცულობის გადაცემა სასწავლო დროის მოკლე მონაკვეთში, ჩვეულებისამებრ ყოველდღიური მეცადინეობების რაოდენობათა გაზრდის ხარჯზე
137	ინფორმაციული საზოგადოება Информационное общество Information society	საზოგადოება ცივილიზაციის განვითარების ახალ ფაზაში, რომელშიც საზოგადოების განვითარების ძირითად რესურსს ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს
138	კათედრა Кафедра Chair/Pulpit	1. ზოგიერთი უსდ-ს ფაკულტეტის სტრუქტურული დანაყოფი, რომელიც გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს, ახორციელებს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ კვლევას თავისი პროფილის (სპეციალიზაციის) შესაბამისად; 2. სპეციალური ამალღებული ადგილი გამომსვლელისათვის

		აუდიტორიასა თუ დარბაზში.
139	კათედრის გამგე Заведующий кафедрой Head of the chair	კათედრის ხელმძღვანელის არჩევითი თანამდებობა
140	კამპუსი Кампус Campus	უნივერსიტეტის, კოლეჯის, სკოლის შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი
141	კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი იხ. სამეცნიერო ხარისხი Степень кандидата наук Candidate/Doctoral degree	
142	კანცლერი შდრ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი Канцлер Chancellor	ევროპულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციის ან მთელი დაწესებულების ხელმძღვანელი
143	კერძო სასწავლო დაწესებულება Частное образовательное учреждение Private educational institution	სასწავლო დაწესებულება, რომელიც დაფუძნებულია კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად
144	კერძო სკოლა Частная школа Private school	კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
145	კვალიფიკაცია Квалификация Qualification	კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ფლობის დონე
146	კვალიფიკაციის ამაღლება Повышение квалификации Qualification upgrade	სწავლების პროცესი, რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ დამატებით ახალი პროფესიული ცოდნის შექმნა და უნარ-ჩვევების დახვეწა
147	კვალიფიკაციის ამაღლების კურსები Курсы повышения квалификации Service training courses	მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსები, რომლებიც მსმენელს აწვდიან ინფორმაციას იმ ახალი იდეების, მეთოდების და ა.შ. შესახებ, რომლებიც მის სპეცილობასთან არის დაკავშირებული
148	კვალიფიკაციის დონე Уровень квалификации Qualification level	განათლების ის დონე, რომელიც აუცილებელია პროფესიული დახელოვნების შესაბამისი საფეხურისათვის. კვალიფიკაციის დონის არსებით მახასიათებლებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დიაპაზონი და შემცველობა წარმოადგენს
149	კვლევითი (სამეცნიერო) გრანტი Исследовательский грант Research grant	სპეციალური ფულადი სახსრები, რომელიც კვლევითი მუშაობის ჩასატრეზლად გამოიყოფა
150	კლასი Класс Class	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს
151	კოეფიციენტ(ებ)ი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ

	Коэффициент(ы) Coefficient(s)	სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული ერთეული (ერთეულები), რომლის შესაბამისად ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების რაჩეობა კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად
152	კოლეჯი Колледж College	1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ან/და აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას; 2. ინგლისურენოვან ქვეყნებში: უნივერსიტეტის შემადგენელი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.
153	კოლოკვიუმი Коллоквиум Colloquium	1. პედაგოგის გასაუბრება მოსწავლეებთან მათი ცოდნის გამოვლენის მიზნით; 2. სამეცნიერო შეკრება გარკვეულ თემაზე მოხსენებების მოსასმენად და განსახილველად.
154	კონსულტანტი Консультант Consultant, Tutor	პირი, რომელიც კონსულტაციას, რჩევა-დარიგებას აძლევს ვისმე თავისი სპეციალობის მიხედვით
155	კონტინგენტი Контингент Contingent	რაიმე კოლექტივში (სასწავლებელში, დაწესებულებაში, არმიის და მისთ.) შემავალ ადამიანთა ერთობლიობა
156	კომპენსაცია Компенсация Compensation	1. რაიმე დანახარჯის ანაზღაურება; 2. მოქალაქეებისათვის იმ არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ, რომელსაც აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია და ახორციელებს დაწყებით ან საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.
157	კომპენსატორული განათლება Компенсаторное образование Compensatory education	სწავლების ფორმა, რომელიც ემსახურება განათლების წინა საფეხურზე დატოვებული ხარვეზების შევსებას
158	კომპეტენცია Компетенция Competence	1. თვისებების, შესაძლებლობებისა და შეხედულებების დინამიურ კომბინაციას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპეტენციის განვითარება. კომპეტენცია ყალიბდება სხვადასხვა კურსების ფარგლებში და სხვადასხვა საფეხურზე ფასდება. იგი შეიძლება დაიყოს საგანთან დაკავშირებულ კომპეტენციად (დარგისათვის სპეციფიკური) და ზოგად კომპეტენციად (რომელიც საერთოა ყველა აკადემიური სფეროსათვის); 2. ამა თუ იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების ფარგლები.
159	კომპეტენტურობა Компетентность Competence	რაიმე სფეროში პიროვნების ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ინტეგრალური მახასიათებელი.
160	კონკურსი Конкурс Competition/Contest	რაიმე სფეროში კონკურსანტთა შერჩევა წინასწარ დადგენილი და გაცხადებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების საფუძველზე.
161	კონსერვატორია Консерватория Conservatoire/Academy of	უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მუსიკალური ხელოვნების სპეცილისტებსა და შემსრულებლებს ამზადებს

	music	
162	კონსორციუმი Консорциум Consortium	სხვადასხვა კოლეჯებისა და უნივერსიტეტების გაერთიანება პარტნიორულ საწყისებზე, რომლის საფუძველს წარმოადგენს საერთო ტექნოლოგიები და ქსელები, სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის აუცილებელი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა
163	კონსპექტი Конспект Synopsis	წიგნის, ნაშრომის, მოხსენების, ლექციის შინაარსის მოკლედ გადმოცემა
164	კონსულტაცია Консультация Consultation	მეცადინეობის ერთ-ერთი სახე - მასწავლებლის საუბარი მოსწავლეებთან მათი ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით
165	კოპენჰაგენის პროცესი Копенгагенский процесс Copenhagen Process	2002 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და ევროკავშირის განათლების მინისტრების მიერ მიღებულ იქნა კოპენჰაგენის დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“, რომელიც ევროპული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის გაძლიერებას ისახავს მიზნად. კოპენჰაგენის პროცესში მონაწილეობა სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.
166	კრედიტი <i>იხ. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა</i> Кредит (зачётная единица) Credit	ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას
167	კრედიტების დაგროვება Накопление (Аккумуляция) кредитов Credit accumulation	კრედიტების დაგროვების სისტემაში პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად სემესტრის, აკადემიური წლის ან სრული პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა უნდა იყოს მიღებული. კრედიტების მინიჭება და დაგროვება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ სწავლის განსაზღვრული შედეგის წარმატებით დასრულება დადასტურებულია შეფასებით
168	კრედიტების ტრანსფერი Перезачет кредитов/ Перевод зачетных единиц Credit Transfere	მობილური სტუდენტის მიერ მშობლიურ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების გადატანა ურთიერთადიარების მიზნით
169	კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) Европейская система перезачета кредитов (ЕСПК) European Credit Transfer and Accumulation System	სისტემა, რომლის მიზანია საგანმანათლებლო სისტემების გამჭვირვალობისა და ევროპის რეგიონში სტუდენტთა მობილობის გაუმჯობესება კრედიტების ტრანსფერის საშუალებით. ის ეფუძნება ძირითად დებულებას, რომ აკადემიური წლის განმავლობაში სწავლების საერთო დატვირთვა 60 კრედიტის ტოლია. 60 კრედიტი ნაწილდება კურსებზე ან მოდულებზე შესაბამისი სწავლების შედეგების მიღწევისათვის სტუდენტის დატვირთვის აღსაწერად. კრედიტის ტრანსფერი გარანტირებულია დეტალური ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერენ სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტი, მასპინძელი უნივერსიტეტი და თავად მობილური სტუდენტი
170	კრიტერიუმი Критерий Criterion	ნიშან-თვისება, რომლის საფუძველზეც ფასდება, განისაზღვრება ან კლასიფიცირდება რამე

171	კრიტიკული აზროვნება Критическое мышление Critical thinking	აზროვნება, რომელიც გულისხმობს პრობლემის ახსნისა და გადაჭრისადმი ანალიტიკურ დამოკიდებულებას, ეფუძნება სხვათა მსჯელობის დამოუკიდებლად შეფასებისა და დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარს
172	კურატორი Куратор Curator	1. პირი, რომელსაც მინდობილი აქვს რაიმე სამუშაოს მეთვალყურეობა; 2. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელიც მიმაგრებულია კლინიკაში მწოლიარე ავადმყოფზე (ავადმყოფობის მიმდინარეობაზე თვალყურის სადევნებლად).
173	კურიკულუმი (საგანმანათლებლო პროგრამა) Курикулум Curriculum	სასწავლო კურსების ერთობლიობა (მათი მიზნები, მოცულობა და სწავლების შედეგები, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის ან პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის მოსაპოვებლად არის გამიზნული
174	კურსდამთავრებული Выпускник Graduate	პირი, რომელმაც დაასრულა სწავლა, რაც შესაბამისი სექტიფიკატით დასტურდება
175	კურსი Курс Course/course unit	1. <i>იხ. სასწავლო კურსი</i> 2. სასწავლებლებში სწავლების პერიოდი, საფეხური. <i>შდრ. აკადემიური წელი;</i> 3. სწავლების დასრულებული ციკლი; 4. დამოუკიდებელი, ოფიციალურად მიღებული სასწავლო გამოცდილება. მასში ნათლად და ზუსტად ნდა აისახოს კომპეტენციის სახით გამოსახული სწავლის შედეგები და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.
176	კურს(ებ)ის კატალოგი Каталог курсов Course catalogue	დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი პროგრამების შესახებ
177	ლაბორანტი Лаборант Laboratory assistant	1. ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერ-თანამშრომელი ან ტექნიკური მუშაკი; სამეცნიერო დაწესებულების მუშაკი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის სამუშაოს ასრულებს; 2. პირი, რომელიც პროფესორს უმზადებს ხელსაწყოებს, პრეპარატებს და მისთ. სტუდენტთან ლაბორატორიული მეცადინეობისათვის.
178	ლაბორატორია Лаборатория Laboratory	დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ეწევიან ექსპერიმენტულ სამეცნიერო-ტექნიკურ ან სასწავლო მუშაობას
179	ლექტორი Лектор Lecturer	პროფესორი, რომელსაც აქვს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და კითხულობს სალექციო კურსს უმაღლეს სასწავლებელში
180	ლექცია Лекция Lecture	სასწავლო მასალის სისტემატური, თანამიმდევრული ზეპირი გადმოცემა
181	ლიბერალური განათლება Либеральное образование Liberal education	ზოგად უმაღლეს განათლებაზე და არა ვიწრო პროფესიულ დაოსტატებაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სისტემა
182	ლისაბონის კონვენცია Лиссабонская Конвенция Lisbon Convention	„ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია“, საქართველოს მიერ ხელმოწერილია 1997 წლის 11 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 13 ოქტომბერს. კონვენციით განისაზღვრა უმაღლესი

		განათლების კვალიფიკაციების აღიარების პროცედურა, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეს მოითხოვოს მისი კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდის ცნობა/აღიარება ხელმომწერი ქვეყნებისაგან. კონვენციის თანახმად, ყოველი მხარე აღიარებს მეორე მხარის კვალიფიკაციას ან უმაღლესი განათლების პროგრამის ჩარჩოებში გავლილ სწავლის პერიოდს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავების დადასტურება
183	ლისაბონის პროცესი Лиссабонский Процесс Lisbon Process	2000 წლის მარტში ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა სტრატეგია, რომლის თანახმადაც 2010 წლისათვის ევროპაში უნდა იყოს ყველაზე კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირის მასშტაბით საჭირო გახდა არა მარტო ევროპული ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია, არამედ ასევე განათლების სისტემის მოდერნიზაცია. ამ უკანასკნელის მისაღწევად ლისაბონის პროცესის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა კოპენჰაგენის პროცესს
184	ლიცენზია Лицензия Licence	განათლების სისტემის მართვის ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას კანონმდებლობითა და მისი წესდებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების უფლებას აძლევს
185	ლიცენზირება Лицензирование Licensing	ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ან მისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის საქმიანობის დაწყების ოფიციალური ნებართვის მინიჭება
186	მაგისტრანტი Магистрант Master student	პირი, რომელიც ემზადება დაიცვას დისერტაცია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად
187	მაგისტრატურა შდრ. დიპლომის შემდგომი განათლება Магистратура Master's program	აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის
188	მაგისტრი Магистр Master	მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება
189	მაგისტრის აკადემიური ხარისხი Академическая степень магистра Master's degree	აკადემიური ხარისხი, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – კურსდამთავრებულს ენიჭება.
190	მასტერ-კლასი Мастер-класс Master class	გაკვეთილი, რომელსაც სტუდენტებს დარგის აღიარებული ექსპერტი უტარებს კონკრეტულ დისციპლინაში, უფრო ხშირად სახელოვნებო განათლებაში გამოიყენება, მაგ. მუსიკის, ცეკვის, სამსახიობო ოსტატობის სწავლებისას
191	მასწავლებელი Учитель Tutor/Master/Teacher	1. პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში, გავლილი აქვს აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს სახელობო

		საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებას; 2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში
192	მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი	მასწავლებლის ქცევის სავალდებულო ნორმები
193	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი	პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი
194	მასწავლებლობის მაძიებელი	პირი, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად
195	მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო	მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა
196	მაძიებელი შდრ. ასპირანტი Соискатель Competitor	საქართველოში 2007 წლამდე არსებული სამეცნიერო ხარისხების მინიჭების სისტემაში, პიროვნება უმაღლესი განათლებით, რომელსაც გარკვეული ვადით მინიჭებული ქონდა უფლება, ჩაებარებინა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები და მოემზადებინა სადისერტაციო ნაშრომი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
197	მეთოდისტი Методист Methodist	რომელიმე საგნის სწავლების მეთოდის სპეციალისტი
198	მეთოდოლოგია Методология Methodology	1. მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ; 2. ამა თუ იმ მეცნიერებაში გამოყენებულ კვლევის მეთოდთა ერთობლიობა.
199	მეთოდიკა Методика Methodology	პედაგოგიკის დარგი, რომელიც იკვლევს და ადგენს გარკვეული საგნის სწავლების კანონზომიერებებს. რამდენადაც სწავლების ზოგად კანონზომიერებებს დიდაქტიკა იკვლევს, ცალკეული სასწავლო საგნის მეთოდიკა შესაძლოა განხილული იქნას, როგორც კერძო დიდაქტიკა
200	მენტორი Ментор/ Наставник Mentor	მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებელი, კონსულტანტი, ან უფროსი კოლეგა, რომელიც ნაკლებად გამოცდილ მოსწავლეებს და/ან კოლეგებს დახმარებას უწევს სწავლისა და პრაქტიკული სამუშაოს დროს
201	მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი იბ. მაგისტრატურა Second cycle degree	
202	მესამე საფეხურის აკადემიური ხარისხი იბ. დოქტორანტურა Third cycle degree	
203	მეცნიერება Наука Science	ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის სფერო, რომლის ფუნქციაა სინამდვილის პროცესების არსებისა და კანონების შესახებ ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის სისტემატიზაცია
204	მეცნიერი, მეცნიერ-მუშაკი	მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი

	Ученый\научный работник Scientist	
205	მეცნიერ-თანამშრომელი Научный сотрудник Research worker	სამეცნიერო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა და აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი
206	მიდრეკილება Склонность Inclination/ disposition	პიროვნების შერჩევითი მომართულობა, სწრაფვა უპირატესად გარკვეული საქმიანობის განხორციელებისაკენ, რასაც საფუძვლად პიროვნების მყარი მოთხოვნილებები უდევს
207	მიღწევა Достижение Achievement	ცოდნის, კვალიფიკაციის ის დონე, რასაც სასწავლო პროგრამების საფუძველზე მიაღწევენ სწავლის პროცესში ჩაბმული პირები
208	მობილობა (იგივე აკადემიური მობილობა) Мобильность Mobility	სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციების ცნობით. ფართო გაგებით –გადაადგილებისა და ახალ სასწავლო/ პროფესიულ გარემოსთან შეგუების უნარი. შეიძლება იყოს გეოგრაფიული, პროფესიული ან ფუნქციური
209	მობილური სტუდენტი Мобильный студент Mobile student	სტუდენტი, რომელიც აკადემიური ხარისხის მიღებისათვის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშობლიური უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ (ზშირად სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) გადის
210	მოდულირებული სასწავლო გეგმა	ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, განსხვავებული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;
211	მოდული Модуль Module	სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას
212	მონიტორინგი Мониторинг Monitoring	ობიექტის შემდგომი განვითარების პროგნოზირება და შეფასება
213	მოსამზადებელი კურსები Подготовительные курсы Preparatory/ training courses	სპეციალური კურსები, რომლებიც სთავაზობენ საგანთა მრავალფეროვნებას და ამით ამზადებენ მსმენელებს უფრო მაღალ დონეზე სწავლებისათვის
214	მოსწრება Успеваемость Progress	წარმატება სწავლაში
215	მოწაფე/ მოსწავლე Ученик Pupil	1. ვინც სკოლაში სწავლობს ან რაიმე პროფესიას ეუფლება; 2. ვისიმე მოძღვრების ან პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი.
216	მრავალხანანი დაფინანსება Многоканальное финансирование Multi-channel funding	განათლების დაფინანსების მოდელი, რომელიც გულისხმობს ინვესტორების კატეგორიებისა და რაოდენობის გაფართოებას ფიზიკური და იურიდიული პირების ჩართვის ხარჯზე
217	მშობელი	მოსწავლის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი

218	მცირეკონტინგენტიანი სკოლა	სკოლა, რომელშიც ადგილობრივი პირობების გამო სწავლობს მცირე რაოდენობის მოსწავლე. მცირეკონტინგენტიანი სკოლის ნორმატივს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
219	ნიშანი Отметка\оценка Mark/Grade	ნიშანი არის რიცხვობრივი ან ხარისხობრივი საზომი ერთეული, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალური კურსის/მოდულის შეფასებისათვის
220	ნიშნების ფურცელი Листок о оценок Transcript of records	დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ, კერძოდ, გავლილი კურსებისა და მოდულების ჩამონათვალს, მიღებული კრედიტების რაოდენობას, ადგილობრივსა და ECTS-ის შეფასებას
221	ნორმატივი Норматив Norm	წინასწარ დადგენილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის (მაგ. ფინანსური ნორმატივი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო სტანდარტის განხორციელებისათვის აუცილებელი თანხების ოდენობას, რომელიც განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის, სტანდარტის, პროგრამის ყოველი სასწავლო წლის, ერთი მოსწავლისა და სტუდენტისათვის)
223	ნოსტრიფიკაცია Нострификация Nostrification	ამა თუ იმ ქვეყანაში გაცემული საგანმანათლებლო სერტიფიკატის აღიარება სხვა ქვეყნის მიერ საგანმანათლებლო პროგრამათა შესაბამისობა-თავსებადობის საფუძველზე
224	ოპონენტი Оппонент Opponent	პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების, ვისიმე დასაბუთების წინააღმდეგ
225	პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება Повышение квалификации педагога Teachers training	სამეცნიერო, პედაგოგიური და მეთოდიკური მომზადების უწყვეტი სრულყოფა თვითგანათლებლით, საგნობრივი მეთოდგაერთიანებების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების, პრაქტიკუმების, კონფერენციების და დისტანციური სწავლებისა და სხვა საშუალებებით
226	პედაგოგი Педагог Teacher/Pedagogue	პირი, რომელიც სასწავლო ან/და აღმზრდელობით მუშაობას ეწევა (დაწყებითი პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელი, სკოლის მასწავლებელი, სკოლამდელი დაწესებულების, სკოლისგარეშე დაწესებულების აღმზრდელი, საშუალო სპეციალური სასწავლებლის და უმაღლესი სკოლის მასწავლებელი და სხვა)
227	პედაგოგიკა Педагогика Pedagogy	აღზრდა-განათლების პრობლემათა შემსწავლელ თეორიულ და გამოყენებით მეცნიერებათა ერთობლიობა
228	პედაგოგიური განათლება Педагогическое образование Pedagogic education/ Training	პედაგოგიური კადრების მომზადება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, დაწყებითი და საშუალო პროფესიული სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის
229	პედაგოგიური საქმიანობა	მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან საგაკვეთილო და დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა
230	პილოტირება	ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამ მიზნების მიღწევის საშუალებების რეალურობის შემოწმება სკოლებში;
231	პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი იხ. ბაკალავრიატი	

	Первая академическая степень First cycle degree	
232	პიროვნებაზე ორიენტირებული განათლება Человекоцентрическое образование Human being-centred education	საგანმანათლებლო პროცესი, რომლის შინაარსი, მიზნები, ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები ადამიანის ინდივიდუალური ინტერესებითა და უნარ-შესაძლებლობებით განისაზღვრება
233	პორტფოლიო/портфель Portfolio	პორტფოლიო არის სტუდენტის ნამუშევრების (ხელოვნების ნიმუშები, საშემსრულებლო პრაქტიკა, პროექტები და ა.შ.) თემატური ნაკრები, რომელიც ასახავს მის პროფესიულ განვითარებას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში
234	პრაქტიკა Практика Practise	1. სასწავლო აქტივობის სპეციალური ფორმა (პედპრაქტიკა, საწარმოო და სავლე პრაქტიკა), რომელიც გულისხმობს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას სკოლის, საწარმოს დაწესებულების საქმიანობაში უშუალოდ ჩართვის მეშვეობით; 2. ადამიანთა მატერიალური, გრძნობად-საგნობრივი, მიზანდასახული მოქმედება ბუნებრივი და სოციალური გარემოს გარდაქმნისათვის. ადამიანთა მოქმედების ძირითადი სპეციალური ფორმა.
235	პრაქტიკანტი Практикант Trainee	პირი, რომელიც პრაქტიკას გადის
236	პრაქტიკული მეცადინეობა Практическое занятия Practical studies	მეცადინეობა, რომელიც მიმდინარეობს სტუდენტის მაქსიმალური აქტივობით (ლაბორატორიაში, ენის შესწავლის დროს და სხვა)
237	პრაქტიკული სახელმძღვანელო Практический учебник Practical text book	პედაგოგიური დანიშნულების გამოცემა, რომელიც განკუთვნილია პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად რაიმე სფეროში თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად
238	პრაქტიკუმი იხ. პრაქტიკული მეცადინეობა Практикум Practical work	
239	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება Проблемное обучение Problem-based learning	დიდაქტიკური სისტემა, რომელიც ემყარება პედაგოგიური პროცესის წარმართვას ისეთი პრობლემური სიტუაციებით, რაც მოსწავლისათვის მზამზარეული ცოდნის გადაცემას ვი არ გულისხმობს, არამედ აიძულებს მას გადაჭრას მასწავლებლის მიერ ხელოვნურად პროვოცირებული (ან სასწავლო მასალაში მოცემული) პრობლემები
240	პროგრამა Программа Program	1. იმ საგნის, კურსის შინაარსისა და მეთოდოლოგიის საფუძვლების მოკლე გადმოცემა, რომელიც ისწავლება სასწავლებელში. შდრ. სილაბუსი, კურიკულუმი 2. მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის და მისთ. გეგმა; 3. მოქმედების გეგმა, “დავალება”, რომელიც ავტომატურად უნდა შეასრულოს მანქანამ, ჩარხმა, დანადგარმა და მისთ.
241	პროექტი Проект	1. დაგეგმილი სამუშაო, რომელიც ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად;

	Project	2. რაიმე დოკუმენტის წინასწარი, სავარაუდო ტექსტი.
242	პრორექტორი Проректор Vice-rector	უსდ რექტორის მოადგილე ამა თუ იმ დარგში
243	პროფესია შდრ. სპეციალობა Профессия Profession	ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შექმნა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად
244	პროფესიონალიზმი Профессионализм Professionalism	ადამიანის ცოდნა, უნარი და გამოცდილება, რომელთა საშუალებითაც მას შესაბამისი სპეციალური სამუშაოს კვალიფიციური შესრულება შეუძლია
245	პროფესიული ასოციაცია Профессиональное объединение/ассоциация Professional association	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლებისაგან და რომლის მიზანია პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, წევრთა ერთობლივი ინტერესების დაცვა, პროფესიული ეთიკის დაცვაზე ზრუნვა
246	პროფესიული გადამზადება Профессиональная переподготовка Vocational retraining	სწავლების პროცესი, რომლის მიზანია მოიცავს ადრე მიღებულისაგან განსხვავებული პროფესიული ცოდნის შექმნა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლის აუცილებლობით
247	პროფესიული განათლება Профессиональное образование Vocational education	პროფესიული განათლება – სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლება, რომელიც მიზნად ისახავს პირის მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადებას;
248	პროფესიული კვალიფიკაცია იხ. კვალიფიკაცია Профессиональная квалификация Vocational qualification	
249	პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო Vocational qualifications framework	დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის დონე და პროფესიული სტანდარტი
250	პროფესიული მომზადება Профессиональная подготовка Vocational training	გარკვეული პროფესიის ფარგლებში წარმატებული მოღვაწეობისათვის აუცილებელი სპეციალური ცოდნის, უნარ-ჩვევების, თვისებების, შრომითი გამოცდილებისა და ქცევის ნორმათა ერთობლიობა
251	პროფესიული ორგანიზაცია იხ. პროფესიული ასოციაცია Профессиональное объединение Professional association	
252	პროფესიული ორიენტაცია Профессиональная ориентация Vocational Guidance and Vocational Counselling/ Career Guidance/	ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის შემდგომი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობათა, სხვადასხვა სახის საქმიანობის სპეციფიკის, პროფესიათა შესახებ ინფორმაციასთან დაშვების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს მას, პროფესია აირჩიოს ინდივიდუალური

	Professional Orientation	თავისებურებების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით
253	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება Профессирнальное учебное заведение Vocational educational institution	საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად
254	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი Профессирнальный образовательный стандарт Vocational educational standart	დოკუმენტი, რომელიც ადგენს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პირობებსა და წესს
255	პროფესიული სტანდარტი Профессирнальный стандарт Vocational standart	ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ დამტკიცებული, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი
256	პროფესიული სტუდენტი	პირი, რომელიც სწავლობს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით
257	პროფესიული სწავლების ცენტრი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება Центр профессионального обучения Vocational training center	საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს;
258	პროფესორი <i>იხ. სრული პროფესორი</i> Профессор Professor	
259	პროფილი Профиль Profile	1. პროფესიის, სპეციალობის, მეურნეობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა; 2. საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მიმართულება, ხასიათი.
260	რანჟირება აბსოლუტური ჯამური ქულებით Ранжирование абсолютными суммированными балами Ranking by absolute sum of scores	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული, აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აბსოლუტური ქულის/ქულების მიხედვით დადგენილი ჩამონათვალი, რომლითაც ირკვევა, თუ რომელმა აბიტურიენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხვის შემთხვევაში
261	რანჟირება კოეფიციენტებით Ранжирование коэффициентами Ranking by coefficients	გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული, აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული ქულის/ქულების გადათვლის შედეგად დადგენილი

		ჩამონათვალი ფაკულტეტების მიერ წინასწარ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით. ამ გადათვლის შედეგად აბიტურიენტები ნაწილდებიან კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტებზე
262	რეგულირება/აწყობა Регулирование Tuning	“რეგულირების პროექტის” (Tuning Project) შემთხვევაში რეგულირება ნიშნავს შეთანხმებული ათვლის წერტილის შემოღებას ევროპის უმაღლესი განათლების სტრუქტურის ორგანიზაციისათვის. ამავე დროს ხდება იმ ფაქტის აღიარებაც, რომ ტრადიციების მრავალფეროვნება დადებითი ფაქტორია უმაღლესი განათლების დინამიური საერთო სივრცის შესაქმნელად.
263	რეგულირებადი პროფესია Регулируемая профессия Regulated profession	პროფესია, რომლით საქმიანობის განსახორციელებლად პირმა უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური განათლება და ჩააბაროს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდა
264	რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა Регулируемая образовательная программа Regulated educational program	პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით
265	რეზიდენტი Резидент Resident	უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც სწავლების კურსს გადის მედიცინის სპეციალურ სფეროში და ემზადება სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდისათვის
266	რეზიდენტურა Резидентура Residency	სპეციალური კვალიფიკაციის სამედიცინო კადრების მომზადების ფორმა; სამედიცინო განათლების დამამთავრებელი საფეხური, რომლის წარმატებული დასრულება არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის წინაპირობა
267	რეკურენტული განათლება Рекуррентное образование Recurrent education	მოსწავლის/სტუდენტის მიერ სისტემატური სასწავლო საქმიანობის განახლება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ
268	რექტორატი Ректорат Rectorate	უსდ სასწავლო-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა რექტორის მეთაურობით
269	რექტორი Ректор Rector	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
270	საატესტაციო ორგანო Аттестационный орган Awarding body	საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულია, როგორც სახელობო განათლების ატესტაციის ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო
271	საბჭო Совет Council	სათათბირო ორგანო რაიმე დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში
272	საგანმანათლებლო აუდიტი Образовательный аудит Educational audit	მოსწავლეთა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის კონტროლი იმ სასწავლო და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან
273	საგანმანათლებლო დაწესებულება Образовательное заведение Educational institution	დაწესებულება, რომელიც განათლების მიწოდებას უზრუნველყოფს

274	საგანმანათლებლო პროგრამა <i>იხ. კურიკულუმი</i> Образовательная программа Educational/study program	
275	საგანმანათლებლო პროცესი Образовательный процесс Educational process	პროფესორ-მასწავლებელთა და აღმზრდელთა სისტემატური და მიზანმიმართული საქმიანობა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადასაცემად
276	საგანმანათლებლო საფეხური Образовательная ступень Educational level	განათლების ერთიანი სისტემის გარკვეული აკადემიური და სოციალური მიზანდასახულობის მქონე ნაწილი, რაც გამოხატულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის ათვისება დასტურდება სახელმწიფო სერტიფიკატით, რაც პირს უფლებას აძლევს სწავლა გააგრძელოს მომდევნო საფეხურზე
277	საგანმანათლებლო სერტიფიკატი <i>იხ. სერტიფიკატი</i> Образовательный сертификат Educational certificate / diploma	
278	საგანმანათლებლო სერტიფიკატის ცნობა <i>იხ. ნოსტრიფიკაცია</i> Признание образовательного сертификата Recognition of certificate/ diploma	
279	საგანმანათლებლო სექტორი Образовательный сектор Educational sector	საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეული, რომელიც გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება (მაგ. რუსული სექტორი ქართულ სკოლაში და მისთ.)
280	საგანმანათლებლო ცენზი Образовательный ценз Educational qualification	პიროვნების განათლების გარკვეული დონე, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით (სერტიფიკატით: ატესტატი, დიპლომი, მოწმობა)
281	სადიპლომო შრომა <i>Дипломная работа</i> Diplom work	წერილობითი ნაშრომი, რომლის წარმატებით დაცვის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა დიპლომი
282	სადისერტაციო საბჭო <i>Диссертационный совет</i> Degree-granting council	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე არსებული ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს
283	სავალდებულო საგნები Обязательные предметы Compulsory/core subjects	საგანმანათლებლო პროგრამის ის საგნები, რომელთა შესწავლა აუცილებელია შესაბამისი კონტინგენტისათვის
284	სავალდებულო მინიმუმი Обязательный минимум Compulsory minimum	სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ის მინიმალური მოცულობა, რაც აუცილებელი და სავალდებულოა განათლების ამა თუ იმ დონის მისაღწევად
285	საზაფხულო სკოლა სავალდებულო საგნები <i>Летняя школа</i> Summer school	ზაფხულის არდადეგების დროს ორგანიზებული სასწავლო პროცესი, რომელიც ახორციელებს სპეციალურ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამას და ერთმანეთს უხამებს სწავლასა და აქტიურ დასვენებას
286	საინფორმაციო პაკეტი <i>იხ. კურსის კატალოგი</i>	

	Информационный пакет/каталог курсов ECTS Information Package/Course Catalogue Information package	
287	საკვალიფიკაციო ჩარჩო <i>შდრ. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო</i> Рамка квалификаций Qualifications framework	წარმოადგენს სწავლის შედეგების მიხედვით კვალიფიკაციების განსაზღვრის, შემუშავება/განვითარებისა და კლასიფიცირების ინსტრუმენტს. ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის და ადგილობრივი თუ საერთაშორისო შრომის ბაზრის მიერ კვალიფიკაციების ცნობის საფუძველს
288	საკონტაქტო საათები Контактные часы Contact hours	გაკვეთილზე/ლექციაზე სასწავლო კონტაქტი მასწავლებელსა და სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს შორის განსაზღვრულია როგორც საკონტაქტო საათი
289	საკონტროლო სამუშაო Контрольная работа Test	მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის დონისა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების ფორმა
290	სამეცნიერო საბჭო <i>შდრ. აკადემიური საბჭო</i> Ученый совет Academic council	ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში უსდ-ის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მართვის ორგანო
291	სამეცნიერო ხარისხი <i>შდრ. აკადემიური ხარისხი</i> Ученая степень Academic degree	ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში: წოდება (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) რომელიც ენიჭება მეცნიერს სამეცნიერო მიღწევების აღსანიშნავად
292	სამეცნიერო წოდება <i>შდრ. აკადემიური წოდება</i> Ученое звание Academic title	საქართველოში 2006 წლამდე და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ახლაც უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორისა და დოცენტის, ხოლო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში - პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება
293	სამოქალაქო განათლება Гражданское образование Civil education	სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება აღსაზრდელებში, მათი მომზადება თავისუფალ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის (ითვალისწინებს ქვეყნის კონსტიტუციის, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების, ბავშვთა უფლებების კონვენციის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, კანონიერების კულტურის, ანტიკორუფციული პროგრამისა და ეკოლოგიის სწავლებას)
294	საპატიო წოდება <i>შდრ. აკადემიური წოდება</i> Почетное звание Honorary degree	ოფიციალური წოდება, რომელსაც უსდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი დამსახურებისათვის ანიჭებს
295	სასერტიფიკაციო გამოცდა Сертификационный экзамен Setification exam	სპეციალური სახელმწიფო გამოცდა, რომლის წარმატებული ჩაბარება რეგულირებადი პროფესიების წარმომადგენლებისათვის პროფესიული საქმიანობის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა
296	სასკოლო დრო	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული, აგრეთვე მისი სპონსორობით ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო
297	სასკოლო სასწავლო გეგმა	სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს

		ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს
298	სასპორტო უმაღლესი განათლება Высшее спортивное образование Sports higher education	უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში შემსრულებელი სპეციალისტების მომზადება
299	სასწავლო გამოცემა Учебное издание Educational edition	სპეციალური გამოცემა, რომელიც შეიცავს სამეცნიერო ან გამოყენებითი ხასიათის სისტემატიზებულ მონაცემებს, გადმოცემულს შესწავლის და დასწავლისათვის მოსახერხებელი ფორმით
300	სასწავლო გეგმა იხ. კურიკულუმი Учебный план Curriculum	
301	სასწავლო გრანტი შდრ. ვაუჩერი Учебный грант Educational grant	ფულადი სახსრები, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მიღებას სტუდენტის მიერ
302	სასწავლო დატვირთვა Учебная нагрузка Workload	მოიცავს სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ყოველგვარ საგანმანათლებლო საქმიანობას (მაგალითად ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, ინფორმაციის მოძიებას, დამოუკიდებელ მუშაობას და ა.შ.)
303	სასწავლო დისციპლინა Учебная дисциплина Educational Discipline	მეცნიერების ან ხელოვნების შესაბამისი დარგიდან შერჩეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დიდაქტიკურად დასაბუთებული სისტემა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესასწავლად
304	სასწავლო კურსი Учебный курс Learning course	ესა თუ ის საგანი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაში შედის
306	სასწავლო პრაქტიკა Учебная практика Educational practise	1. პრაქტიკანტის დასწრება გამოცდილი პედაგოგის გაკვეთილებზე; 2. მეცადინეობის ჩატარება პრაქტიკანტის მიერ; 3. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სწავლებისათვის სპეციალურად შექმნილ გარემოში – პროფესიული სწავლების ცენტრში ან მის ფარგლებს გარეთ.
307	სასწავლო კურსის პროგრამა იხ. სილაბუსი Учебная программа Course program	
308	სასწავლო პროცესი Учебный процесс Educational process	პედაგოგთა და მოსწავლეთა მიზანმიმართული, თანამიმდევრული საქმიანობა ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციისათვის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების, პროგრამების, პედაგოგიური მეთოდოლოგიის, სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შესაბამისად.

309	სასწავლო პროცესის ხარისხი Качество учебного процесса Quality of learning	სასწავლო პროცესისა და მისი შედეგების ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც სასწავლო პროგრამების შინაარსითა და პედაგოგთა კვალიფიკაციით განისაზღვრება
310	სასწავლო-როლური თამაში Учебно-ролевая игра Learning-role game	აქტიური სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ გარკვეული როლების შესრულებას ხელოვნურად შექმნილ სიტუაციაში და რომელიც მიმართულია ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება-განვითარებაზე
311	სასწავლო საგნების ციკლი Цикл учебных предметов Series of learning disciplines	საგანმანათლებლო მიზნისა და შინაარსის, ასევე სწავლების თავისებურებების მიხედვით ურთიერთდაკავშირებულ სასწავლო დისციპლინათა ერთობლიობა (მაგ. ფიზიკა-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და ა.შ. ციკლები)
312	სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა Учебно-производственное партнерство Partnership between school and industry	ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, კომპეტენტური საჯარო სამართლის იურიდიული პირების, დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა
313	სასწავლო ცენტრი Учебный центр Educational center	სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საერთო სახელწოდება, რომლებიც ორგანიზაციებსა და საწარმოებთან იქმნება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
314	სასწავლო ცხრილი Учебное расписание Educational schedule	დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების განაწილება კვირის დღეების, დღის განმავლობაში მათი რიგი თობისა და აუდიტორიების ჩვენებით
315	სასწავლო ხელშეკრულება Учебный договор Learning agreement	ECTS-ის სასწავლო ხელშეკრულება წარმოადგენს იმ კურსებისა და მოდულების ჩამონათვალს, რომელთა დაუფლებასაც გეგმავს მობილური სტუდენტი მასპინძელ უნივერსიტეტში. ხელშეკრულებას ხელს აწერენ სტუდენტის მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების წარმომადგენლები და თავად სტუდენტი
316	საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება Университетское высшее образование University education	უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს
317	საფეხური Ступень Cycle	საფეხური წარმოადგენს სწავლების პერიოდს, რომელიც საჭიროა აკადემიური ხარისხის მისაღებად. ბოლონის დეკლარაციაში დასახელებული ერთ-ერთი მოთხოვნა არის "ორ ძირითად, დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ, საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება". ამჟამად სწავლა დოქტორანტურაში ითვლება მესამე საფეხურად
318	საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამა Исполнительская образовательная программа Performing Educational Program	სახელოვნებო ან/და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია ხელოვნების ან/და სპორტის ერთ-ერთ ან რამდენიმე საშემსრულებლო სპეციალობაში შემსრულებლის (მათ შორის, მხატვრის, მუსიკოსის, მსახიობის, სპორტსმენისა და სხვ.) მომზადება და შესაბამისი სპეციალობით აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება

319	საწარმოო პრაქტიკა Производственная практика Production practice	პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ და რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება
320	სახელმწიფო გამოცდა Государственный экзамен State/Public examination	ზოგადი და პროფესიული განათლების ამა თუ იმ საფეხურზე მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასება სახელმწიფო კომისიის მიერ, რაც შესაბამისი სერტიფიკატით დასტურდება
321	სახელმწიფო დაკვეთა Государственный заказ State order	სახელმწიფოს საგანმანათლებლო ინტერესების გამოხატულება, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფილია საბიუჯეტო დაფინანსებით. სახელმწიფო დაკვეთა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე დაწესებულებებში
322	სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება <i>შდრ. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება</i> Государственное образовательное заведение State educational institution	საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ და აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი
323	სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა Государственная образовательная политика Public educational policy	სახელმწიფო მიზნებისა და ინტერესების ერთობლიობა განათლების დარგში, რაც საფუძვლად უდევს ხელისუფლებისა და განათლების სისტემის ორგანოთა საქმიანობას სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრისას და მათი რეალიზაციისათვის
324	სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი Государственный образовательный стандарт State educational standard	შესაბამისი ლიცენზიის მქონე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც “განათლების შესახებ” კანონით განსაზღვრული განათლების საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლივობის საფუძველზე ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს თანაფარდობას სასწავლო საგნების ციკლთა შორის, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და, მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს; ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ნაწილი.
325	სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი Государственный образовательный ценз State educational qualification	სწავლების ამა თუ იმ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული განათლების დონე, დადასტურებული ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატით
326	სახელმწიფო სასწავლო გრანტი <i>იხ. ვაუჩერი</i> Государственный	სახელმწიფოს მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების საფუძველზე სტუდენტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო

	образовательный грант State educational grant	დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად
327	სახელობო განათლება Ученичество (начальное профессиональное образование) Apprenticeship (Initial Vocational Education and Training)	პროფესიული განათლების სახე, რომლის მიღებაც შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ და რომლის მიზანია სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადება
328	სახელობო განათლების მასწავლებელი	პირი, რომელმაც მიიღო შესაბამის სფეროში უმაღლესი განათლება, გაიარა აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებას;
329	სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელობო განათლების მასწავლებლისათვის/ინსტრუქტორისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;
330	სახელოვნებო უმაღლესი განათლება Исполнительское высшее образование Fine arts higher education	უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია ხელოვნების ერთ ან რამდენიმე დარგში შემსრულებელი სპეციალისტების მომზადება
331	სახელოსნო Мастерская Workshop studio	1. საგანგებოდ გამართული შენობა, სადაც ხელოსანი მუშაობს; 2. მხატვრის, მოქანდაკის სამუშაო ოთახი ან შენობა; 3. ხელოსანთან დაკავშირებული; ხელოსნის მოსამზადებელი.
332	სახელმძღვანელო Учебник Manual/Text book	სპეციალური წიგნი, რომელიც სწავლების მიზნების, დადგენილი პროგრამისა და დიდაქტიკის მოთხოვნათა შესაბამისი დისციპლინის სასწავლო მასალას, დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ
333	საჯარო სკოლა	საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
334	სემინარი Семинар Seminar	სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა - მსმენელთა კმათი მოხსენების ან რეფერატის გარშემო
335	სემესტრი Семестр Term /Semester	სასწავლო (აკადემიური) წლის ნახევარი, როგორც წესი მოიცავს 4 თვეს (15-18 კვირას, იშვიათად მეტს), თუმცა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს “ექვს თვეს”
336	სენატი შდრ. წარმომადგენელთა საბჭო Сенат Senate	ძირითადად ინგლისურენოვან ქვეყნებში: უსდ მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს საქმიანობას არაკადემიურ სფეროში
337	სენდვიჩ-კურსი Сендвич-курс Sandwich courses	საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება
338	სერტიფიკატი Сертификат Certificate	განათლების ამა თუ იმ ცენზის მიღწევის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი

339	სერტიფიცირება Сертификация Certification	მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება
340	სერტიფიცირებული სპეციალისტი Сертифицированы специалист Certificated specialist	პირი, რომელმაც ათვის სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა, მიენიჭა შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული კვალიფიკაცია და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განხორციელოს პროფესიული მოქმედებები
341	სესია Сессия Session	დროის ის მონაკვეთი სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც სტუდენტები საბოლოო გამოცდებს აბარებენ მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით
342	სილაბუსი Силабус Syllabus	სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის, სწავლების შედეგების, მეთოდური უზრუნველყოფის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემის აღწერა
343	სკოლა Школа School	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების რომელიმე ან სამივე საფეხურს უზრუნველყოფს;</li> <li>2. ზოგიერთი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება რაიმე სახის პროფესიულ მომზადებას (ქორეოგრაფიული, ენის შემსწავლელი, სამედიცინო და სხვა);</li> <li>3. მიმდინარეობა, მიმართულება მეცნიერებაში, რომელიც შეხედულებების, პრინციპებისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიის ერთიანობის საფუძველზე არის ჩამოყალიბებული.</li> </ol>
344	სკოლის დირექცია	სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე/მოადგილეები და ბუღალტერია
345	სკოლის პედაგოგიური საბჭო	სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო
346	სკოლის სამეურვეო საბჭო	სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანო
347	სოციალიზაცია Социализация Socialization	ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილების შეძენისა და შემდგომი აქტიური რეპროდუქციის პროცესი და რეზულტატი. სოციალიზაცია უწყვეტად მიმდინარეობს ადამიანის ჩასახვიდან გარდაცვალებამდე
348	სოციალურად დაუცველი საზოგადოების ფენა Социально незащищенный слой общества Socially unprotected population	მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის უფლებები შეზღუდულია არადამაკმაყოფილებელი განათლების, სიღარიბის ან ეთნიკური უმცირესობისათვის მათი მიკუთვნების გამო
349	სოციალური გაუცხოება Социальное отчуждение Social exclusion	მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის პოზიტიურ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რასაც შეიძლება საფუძვლად დაედოს მათი შეუსატყვისობა გარკვეული კრიტერიუმებისადმი (საგანმანათლებლო ცენზი, სოციალური სტატუსი და ა.შ.)
350	სოციალური საგანმანათლებლო დაკვეთა Социальный образовательный заказ Social educational order	საზოგადოების ან მისი რომელიმე სოციალური ფენის საგანმანათლებლო ინტერესების გამოხატულება
351	სპეციალისტი Специалист	ადამიანი, რომელსაც ესა თუ ის სპეციალობა აქვს მიღებული

	Specialist	
352	სპეციალობა შდრ. პროფესია Специальность Specialization	სპეციფიკური პროფესიული მომზადებისა და სამუშაო გამოცდილების შედეგად შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიულ სფეროში საქმიანობისათვის
353	სრული პროფესორი Профессор Full Professor	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას
354	სტანდარტი Стандарт Standard	ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს წესებს, ნორმებსა და მოთხოვნებს სტანდარტიზაციის ობიექტისათვის და რომელიც აუცილებელია გარკვეულ სფეროში საქმიანობის შესასრულებლად
355	სტანდარტი საგანმანათლებლო Стандарт образовательный Educational standard	ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მინიმუმს, პროგრამის ხანგრძლივობის მაქსიმუმს და სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო სტანდარტი კურიკულუმის შემუშავების წინაპირობაა
356	სტანდარტი პროფესიის Стандарт профессиональный Occupational standard	განსაზღვრავს იმ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია მოცემული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის
357	სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა Стандартная образовательная программа Standart educational program for initial VET	დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტში აღნიშნული პროფესიული ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელ საგანმანათლებლო კურსებს, მათ შინაარსს და დროში განაწილებას
358	სტაჟი Стаж Probation	რაიმე დარგში მუშაობის ან რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის რიგებში ყოფნის ხანგრძლიობა
359	სტაჟიორი Стажер Probationer	პირი, რომელიც შტატში ჩარიცხვამდე გარკვეული ვადით გამოსაცდელად არის დაშვებული დაწესებულებაში, საწარმოში
360	სტაჟირება Стажировка Probation	შეზღუდული ვადით, სტაჟიორად მუშაობა პრაქტიკული გამოცდილების შეძენის მიზნით
361	სტიპენდია Стипендия Training allowance	ფულადი დახმარება, რომელსაც სტუდენტი ან ასპირანტი (დოქტორანტი) იღებს სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის პროცესში
362	სტიპენდიანტი Стипендиант Scholarship holder	სტუდენტი (ან დოქტორანტი, რომელიც იღებს სტიპენდიას უმაღლესი განათლების მიღებისა და/ან სამეცნიერო კვლევისათვის
363	სტუდენტი Студент Student	პირი, რომელიც კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად
364	სუბსიდია Субсидия Subsidy	ფულადი ან სხვა სახის დახმარება, რომლის წყაროა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტი, ფიზიკური ან იურიდიული პირების სპეციალური ფონდები
365	სწავლა Учеба	1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლება მოსწავლეთა და

	Learning	სტუდენტთა მიერ; 2. საზოგადოდ, ცოდნა-გამოცდილების შექმნა.
366	სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მდრ. უწყვეტი განათლება Обучение в течение жизни Lifelong learning	ევროკავშირის სტრატეგია, რომელმაც ასახვა პოვა ბოლონისა და კოპენჰაგენის პროცესებში და რომლის მიზანია პიროვნებისათვის საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შესაბამისი პირობების შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში
367	სწავლის შედეგები Результат учебы Learning outcome	სწავლის შედეგით განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან შეეძლოს სტუდენტს სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგებს თან უნდა ახლდეს შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, მიღწეულ იქნა თუ არა სწავლის მოსალოდნელი შედეგები. სწავლის შედეგები შეფასების კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს კრედიტის მინიჭების მოთხოვნებს
368	სწავლება Обучение Teaching	მასწავლებლის მიერ და მოსწავლესათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემის პროცესი
369	სწავლება მოდულებით Обучение модулями Modular training	შესასწავლი კურსების დაყოფა ურთიერთდაკავშირებულ ცალკეულ ბლოკებად, რომლებიც შეიძლება ათვისებულ იქნეს მოსახერხებელი სასწავლო თანამიმდევრობით და შეივსოს და კომბინირებულ იქნეს საერთო შემადგენლობის დარღვევის გარეშე
370	სწავლების ფორმა Форма обучения Teaching forme	განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ფორმას: დასწრებული, დისტანციური და ა.შ.
371	სწავლების ხანგრძლივობა Продолжительность обучения Duration of education	სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული დრო სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის
372	სწავლის გადასახადი Плата за обучение Tuition fee	თანხა, რომელსაც პირი საგანმანათლებლო მომსახურების საზღაურად იხდის
373	სწავლულ ექსპერტთა საბჭო (სეს) Совет ученых экспертов Council of academic experts	საქართველოში 2007 წლამდე: არჩევითი საბჭო, რომელიც უზრუნველყოფდა უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას
374	ტესტი Test Test	სტანდარტული დავალება (დავალებათა კომპლექსი), რომელსაც იყენებენ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოკვლევისა და შეფასებისათვის
375	ტესტირება იხ. გამოცდა Тестирование Testing	
376	ტრანსფერი/გადატანა (უნარების და/ან კომპეტენციის) Перенос (навыков\компетенций) Transfer (of skills and competences)	უნარებისა და კომპეტენციის გადატანა და გამოყენება ახალ საგანმანათლებლო ან პროფესიულ გარემოში
377	ტრენინგი	სპეციალური წვრთნის/მომზადების რეჟიმი, რომლის

	Тренинг Training	დროსაც გარკვეული სასწავლო ამოცანის გადაწყვეტა მიმდინარეობს
378	ტრიმესტრი Триместр Term /Trimester	აკადემიური წლის მესამედი, როგორც წესი 8-12 კვირა
379	ტუტორი შდრ. კურატორი, მენტორი Тьютор Tutor	ინგლისურენოვან ქვეყნებში: უნივერსიტეტის მასწავლებელი, ან უფროსი სურსების სტუდენტი, რომელიც ზედამხედველობს სტუდენტის სწავლის პროცესს; კოლეჯში მომუშავე ასისტენტ-ლექტორი
380	უმაღლესი განათლება Высшее образование Higher education	სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებას რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით
381	უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე <i>იხ. ბოლონიის პროცესი</i> Европейское пространство высшего образования EHEA – European Higher Education Area	ბოლონიის პროცესის უმთავრესი მიზანი, რომელიც გულისხმობს ევროპულ სივრცესთან თავსებადი უმაღლესი განათლების სისტემის შექმნას; განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამებს; სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას; უნივერსიტეტების ავტონომიას; დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს და ა. შ.
382	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) Высшее образовательное учреждение (ВУЗ) Higher educational institution	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომლის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს/ხარისხებს ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამის კვალიფიკაციას
383	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალი Филиал ВУЗа Branch of higher education institution	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა, ტერიტორიულად განცალკევებულია ამ დაწესებულების მართვის ორგანოებისაგან და ახორციელებს იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს), რასაც შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
384	უმაღლესი სკოლა <i>იხ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება</i> Высшая школа High school	
385	უნარი Навык Skill	1. ფსიქიკის ერთ-ერთი ძირითადი თვისება (დისპოზიცია), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქმედებისა თუ ქცევის განხორციელებისათვის; 2. კონკრეტული ამოცანისა თუ სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
386	უნარ-ჩვევა Навыки и умения Skills	კონკრეტული ამოცანისა თუ სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება
387	უნივერსიტეტი Университет	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის

	University	საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს
388	ურთიერთაღიარება (კვალიფიკაციის) Признание Recognition mutual	ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიერ სხვა ქვეყანაში/ქვეყნებში მიღებული კვალიფიკაციის აღიარება
389	უწყვეტი განათლება მდრ. სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში Непрерывное образование Continuing education/	განათლება, რომელიც საბაზო განათლების მიღების და/ან დასაქმების შემდეგ ხორციელდება და მიზნად ისახავს ცოდნის გაღრმავებას, ახალი ცოდნის შექმნას. წარმოადგენს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კომპონენტს
390	ფაკულტატივი Факультатив Option(al)	სასწავლო კურსი ან საგანი, რომელსაც სტუდენტები ან საშუალო სკოლის მოსწავლეები თავიანთი სურვილის შესაბამისად არჩევით შეისწავლიან თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოების მიზნით
391	ფაკულტეტი Факультет Faculty/ Department	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას
392	ფაკულტეტის საბჭო Совет факультета Faculty council	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო
393	ფილიალი იხ. უსდ ფილიალი Филиал Branch	
394	ფორმალური განათლება მდრ. არაფორმალური განათლება Формальное образование Formal education	განათლების პროცესი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის ფარგლებში მიმდინარეობს და ოფიციალური სერიტიფიკატის მიღებას ისახავს მიზნად
395	ღია უნივერსიტეტი მდრ. უნივერსიტეტი Открытый университет Open university	უნივერსიტეტი, რომელშიც სწავლა ხორციელდება სტუდენტებისათვის მაქსიმალურად მისაღები პირობებით; სპეციფიკური საჭიროებების მიხედვით სტუდენტს შეუძლია გაიაროს მისთვის საინტერესო რაიმე დისციპლინის ერთი კურსი ან აირჩიოს საგანთა გარკვეული რაოდენობა ხარისხის ან დიპლომის მისაღებად (ხარისხის მისაღებად საჭირო დრო ლიმიტირებულია). სწავლების ფორმა მოიცავს როგორც დისტანციურ, ისე ინდივიდუალურ-ჯგუფური მეცადინეობების ფორმებს
396	შეგირდობა Ученичество Apprenticeship	დამოუკიდებელი პროფესიული კარიერის დაწყებამდე პრაქტიკული სწავლის პერიოდი, ძირითადად სახელობო პროფესიებში, რომლის განმავლობაშიც პიროვნება თეორიული ცოდნის გარდა სამუშაო გამცოდინლებას იძენს
397	შეფასება Оценка Assessment/Evaluation	1. წერითი, ზეპირი და პრაქტიკული ტესტების/გამოცდების, პროექტებისა და პორტფოლიოს ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება კურსის ან მოდულის ფარგლებში სტუდენტის წარმატების შესამოწმებლად. შეფასება შეიძლება თვით სტუდენტმა გამოიყენოს საკუთარი წარმატების შესამოწმებლად (ფორმატული შეფასება) ან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის დასახულ მიზნებს კურსის ან მოდულის ფარგლებში

		<p>(ჯამური შეფასება);</p> <p>2. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და ამა თუ იმ პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისების ხარისხის განსაზღვრა; სასწავლო პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის კონტროლი და მათი აკადემიური წარმატების აღრიცხვა;</p> <p>3. ხარისხის შემოწმების პროცესი.</p>
398	<p>შეფასება დაწესებულების შიგნით/ შიდა შეფასება</p> <p>შდრ. გარე შეფასება</p> <p>Оценка в учреждении</p> <p>Evaluation in the institution</p>	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება თვით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
399	<p>შეფასების კრიტერიუმები</p> <p>Критерий оценок</p> <p>Evaluation/assessment criteria</p>	სტანდარტები ან პრინციპები, რომელთა მიხედვითაც წარმართება შეფასება
400	<p>შეფასების სისტემა</p> <p>Система оценки</p> <p>Assessment system</p>	საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროგრამების მოთხოვნების, შეფასების კრიტერიუმებისა და ორგანიზებული ფორმების ერთობლიობა
401	<p>შეფასება სტუდენტის მიერ</p> <p>Оценка студента</p> <p>Student's assessment</p>	სტუდენტის მიერ პროგრამის შეფასება მისი დასრულების შემდეგ
402	<p>შრომის ბაზარი</p> <p>Рынок труда</p> <p>Labour market</p>	პოტენციური დამქირავებლების/დამსაქმებლის მიერ ამა თუ იმ სამუშაოს შემსრულებელთა იდენტიფიცირების ბაზარი. შრომის ბაზარი შეიძლება იყოს საერთაშორისო, ნაციონალური, რეგიონალური ან ადგილობრივი
403	<p>ჩათვლა</p> <p>Зачет</p> <p>Pass</p>	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ცოდნის შემოწმების ფორმა, რომელიც ძირითადად პრაქტიკული და სასემინარო მუშაობის შესაფასებლად გამოიყენება და ნიშნის დასმას არ გულისხმობს.
404	<p>ჩვევა</p> <p>Привычка</p> <p>Disposition</p>	დროთა განმავლობაში რეგულარული ზემოქმედების (წვრთნის, სწავლების) შედეგად გამომუშავებული უნარ-თვისება; რაიმე გამლიზიანებელზე ავტომატური ქცევა-მოქმედება
405	<p>ცნობა (იგივე აღიარება)</p> <p>Признание</p> <p>Recognition</p>	ECTS- ის ფარგლებში ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ კურსის ან მოდულის წარმატებით დასრულების შედეგად მიღებული კრედიტები, რომლებიც დაფიქსირებულია სასწავლო ხელშეკრულებაში მასპინძელ უნივერსიტეტში, უნდა ჩანაცვლდეს მის მშობლიურ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების სისტემის შესაბამისი რაოდენობით.
406	<p>ცნობა/აღიარება არაფორმალური განათლების</p> <p>Признание неформального образования</p> <p>Validation of informal / non-formal learning</p>	ადამიანების მიერ სიცოცხლის განმავლობაში არაფორმალური განათლების, შრომითი საქმიანობისა და გამოცდილების დაგროვების გზით შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების აღიარების პროცესი
407	<p>ცნობა კვალიფიკაციის</p> <p>Признание предшествующего образования</p> <p>Accreditation of prior learning (APL)</p>	ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ფორმალური აღიარება, რომელიც შეფასების სტანდარტიზებულ პროცედურას ეფუძნება. შესაძლოა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის/კვალიფიკაციის აღიარება

408	ცნობა ფორმალური Формальное признание Recognition formal	ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების აღიარების ოფიციალური პროცესი, რაც შესაბამისი სერტიფიკატის მინიჭებით დასტურდება
409	ცოდნა Знание Knowledge	სინამდვილის, საგნებისა და მოვლენების, ბუნებისა და საზოგადოების კანონების შემეცნების (წარმოდგენის, გაგების) შედეგი
410	ცოდნის შემოწმება <i>იხ. შეფასება</i> Проверка знаний Testing of knowledge	
411	წარმომადგენელთა საბჭო (სენატი) Представительный орган HEI's representative body (Senate)	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო
412	წერიტი გამოცდა Письменный экзамен Written examination	ცოდნის შემოწმების ფორმა, რომლის დროსაც გამოსაცდელი (მოწაფე, სტუდენტი) დასმულ საკითხს წერილობითი ფორმით უპასუხებს და შეფასებაც მხოლოდ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ხდება
413	წიგნიერება Грамотность Literacy	1. წერა-კითხვის ცოდნა; 2. საფუძვლიანი განათლება.
414	წიგნიერების დონე Уровень грамотности Literacy rate	ამა თუ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე წერა-კითხვის მცოდნე ზრდასრული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა
415	წოდება Звание Rank\Title	ოფიციალური სახელწოდება, რომელსაც უმაღლესი განათლების მქონე პირებს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების აღსანიშნავად ანიჭებენ
416	ხარისხი <i>იხ. აკადემიური ხარისხი სამეცნიერო ხარისხი სასწავლო პროცესის ხარისხი</i> Степень/Качество Degree/Quality	
417	ხარისხის უზრუნველყოფა Обеспечение качества Quality assurance	შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას